პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 45 (851) | კვირა, 5 ივნისი, 1955 წ. | ფასი 30 კაპ.

არდადეგების დღეებში

რაც დრო გადის, სულ უფრო ძლიერდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება. ამ რანდიოზულ ღონისძიებას წინ უსწრებს მოსწავლეთა, კოლმეურნეთა, უწყებო სპარტაკიადები. რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან, რათა სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ ხალხთა სპარტაკიადას, უზრუნველყონ მასში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობა.

ამჟამად რესპუბლიკის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით მიმდინარეობს გამოცდები. ჭაბუკები და გოგონები ავლენენ შესწავლილი მასალის ღრმა ცოდნას. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას იმსახურებენ ის ახალგაზრდები, რომლებიც წარჩინებით სწავლას კარგად უხამებენ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობას.

რამდენიმე დღე და სტუდენტები, საშუალო სკოლების მოსწავლეები გამოემშვიდობებიან მშობლიურ სასწავლებლებს. დაიწყება საზაფხულო არდადეგები, რომლის პერიოდში გათვალისწინებულია მოეწყოს მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიება. ივლისის პირველ რიცხვებში რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში და სხვა ქალაქებში დაიწყება მოსწავლეთა ტრადიციული სპარტაკიადა. გამარჯვებულ მოსწავლე სპორტსმენებისაგან დაკომპლექტდება ნაკრები გუნდები, რომლებიც საწვრთნელი შეკრების შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო სპარტაკიადაში. განზრახულია ჩატარდეს აგრეთვე სტუდენტთა რესპუბლიკური სპორტული ღონისძიებები.

იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ წარმატება მოიპოვონ საკავშირო სპარტაკიადებზე, საჭიროა რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ დაკომპლექტებული ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები ჩავატაროთ მაღალ დონეზე, სპორტსმენთა ტექნიკურ ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება მივაქციოთ მათ იდეურ დონეს. ამ საქმეში ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმაც. მოსწავლე სპორტსმენების იდეური და ტექნიკური სრულყოფა განაპირობებს იმას, რომ მათგან გამოვლინდებიან რეკორდსმენები, მაღალი თანრიგის სპორტსმენები, რომლებიც საქართველოს სპორტის ვეტერანებთან ერთად საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადაზე ღირსეულად დაიცავენ რესპუბლიკის სახელს.

მაგრამ ყველა ახალგაზრდა როდი იქნება ჩაბმული სპორტულ შეჯიბრებებში. ბევრი თანრიგოსანი გოგონა და ჭაბუკი მიაშურებს მშობლიურ სოფელს დასასვენებლად, სასწავლო წლის განმავლობაში დახარჯული ენერგიის ასანაზღაურებლად, რომ სასწავლებელში დაბრუნების შემდეგ ახალი ძალით შეუდგეს ნაყოფიერ სწავლას.

ამჟამად საკოლმეურნეო სოფლებში ცხარე დღეებია. სოციალისტური სოფლის პატრიოტები ემზადებიან მიმდინარე წლის უხვი მოსავლის ასაღებად. ყოველმა მოსწავლემ, სტუდენტმა, რომელიც არდადეგებს მშობლიურ სოფელში გაატარებს, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ნამდვილ საერთო-სახალხო საქმეში.

სოფლად ჩასული ახალგაზრდების წინაშე კიდევ ერთი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დგას. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 20 ივლისამდე გაიმართება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სპარტაკიადები, ხოლო პირველ აგვისტომდე მოეწყობა სოფლის ახალგაზრდობის რაიონული სპარტაკიადები. ამიტომ სოფლად ჩასული ყოველი თანრიგოსანი მოვალეა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში, ითავოს სექციების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, დაეხმაროს ღონისძიებათა ორგანიზაციაში, ხშირად მოაწყონ ამხანაგური შეხვედრები მეზობელი სოფლების კოლმეურნე სპორტსმენებთან. ყველაფერი ეს შიდასაკოლექტივო და რაიონული სპარტაკიადების სახელოდ ჩატარების საწინდარია და ხელს შეუწყობს კოლმეურნე სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას.

რედაქცია რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან სისტემატურად იღებს წერილებს, სპორტის მოყვარულები იტყობინებიან, რომ სპარტაკიადისათვის მუშაობა ჯერ კიდევ არ გაშლილა, ბაზები კეთილმოუწყობელია. როგორც ცნობილია, საკავშირო ალკკ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტებმა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღეს სპეციალური დადგენილებები სსრ კავშირის 1956 წლის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებაში კომკავშირული, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. ეს დადგენილებები გვავალებს ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებისაკენ გადავიტანოთ, მთელი ძალები დავრაზმოთ ამ საპასუხისმგებლო ღონისძიების სახელოდ მოსამზადებლად.

გამოცდები — ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდია მოსწავლეთა ცხოვრებაში. გამოცდები — მთელი წლის განმავლობაში შეძენილი ცოდნის შემოწმება — წარმატებით მიმდინარეობს რესპუბლიკაში.

• • •

სურათზე: თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშე ნ. ბასიაშვილი გამოცდებზე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

მატჩ-ტურნირი ბუდაპეშტში

უნგრეთის დედაქალაქის მოსახლეობა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის უძლიერესი მოჭადრაკეების მატჩ-ტურნირისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებს. ბუდაპეშტის უდიდესი სპორტული დარბაზი „შპორტჩარნიკი", რომელიც 20 ათას მაყურებელს იტევს, ყოველთვის სავსეა ჭადრაკის მოყვარულებით.

შეჯიბრების მეორე ნახევარი 31 მაისს დაიწყო. ილივიცკიმ, რომელიც შავებით თამაშობდა საბოს წინააღმდეგ პარტია ყაიმით დაამთავრა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე კერეს-ბენკოს შეხვედრა.

მწვავედ მიმდინარეობდა ბილეკ-პეტროსიანის პარტია. მოწინააღმდეგეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი. ბრძოლის კრიტიკულ მომენტში იერიშის გაძლიერების მიზნით ბილეკმა შეწირა პაიკი. პეტროსიანმა ამას ხარისხის შეწირვით უპასუხა. ეს საინტერესო პარტია მუდმივი ქიშით (ყაიმით) დამთავრდა.

მიკენას-ბარცას პარტიაში შეიქმნა დახურული ტიპის პოზიცია. მალე მიკენასმა განახორციელა გარღვევა ლაზიერის ფრთაზე და უპირატესობას მიაღწია, მაგრამ ეს პარტიაც ყაიმით დამთავრდა.

მეექვსე ტურში ბენკო-ბრონშტეინის პარტიაში უნგრელმა ოსტატმა ვერ შეძლო მოწინააღმდეგის შეტევათა მოგერიება. ამ შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ოსტატი ბილეკი ჯერჯერობით წარმატებით ამთავრებს თავის პარტიებს გროსმაისტერებთან. ილივიცკისთან შეხვედრაში მან ძალზე გაბედულად ითამაშა, მაგრამ ილივიცკიმ უვნებელყო ყველა მუქარა და როცა ბილეკმა იგრძნო დამარცხების მოახლოვება, ფიგურა შეწირა. ილივიცკიმ გაიმარჯვა.

ბარცა თეთრებით თამაშობდა კერესთან და პარტიის დასაწყისიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა. პარტია გადაიდო. უპირატესობა ბარცას მხარეზეა. გადაიდო აგრეთვე პეტროსიან-კლიუგერის პარტია.

მატჩის ანგარიშია 14:8 საბჭოთა მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

ყალათბურთში ევროპის ჩემპიონატის წინ

მოკლე ხანში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში დაიწყება ევროპის ჩემპიონატი ყალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის.

ტურნირი ჩატარდება ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირი, ბულგარეთი, ფინეთი, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, თურქეთი, საბერძნეთი, შვეცია, იუგოსლავია, დასავლეთ გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, დანია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ავსტრია, უნგრეთი.

უცხოელ სპორტსმენთა ვიზიტები

ივნისში მოსკოვის სპორტულ ბაზებზე მოეწყობა რამდენიმე საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი სპორტსმენები. აქ გამოვლენ ჩეხი და შვედი ფეხბურთელები, მოეწყობა დიდი საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში.

სიმძიმეების აწევის საბჭოთა სექციის მოწვევით მოსკოვში ჩამოვა ამერიკის შეერთებული შტატების შტანგისტთა ნაკრები გუნდი. გარდა ამისა მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე 13 ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგურ შეჯიბრებაში.

მეგობართა შეხვედრა

1 ივნისს მოსკოვის „დინამოს" სტადიონის დასავლეთის ტრიბუნის წინ, გაიმართა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ფრენბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. საინტერესოა ამ ორი ქვეყნის ფრენბურთელთა კოლექტივების შეხვედრების ისტორია. პოლონელებმა პირველი დამარცხება საბჭოთა კავშირის გუნდისაგან განიცადეს 1949 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, მეორეჯერ კი 1952 წლის ჩემპიონატზე. გასულ წელს სტუდენტთა საზაფხულო სპორტულ თამაშებზე ბუდაპეშტში, პოლონეთის გუნდმა რევანში აიღო — დაამარცხა საბჭოთა კავშირის ნაკრები. ამავე წლის შემოდგომაზე პოლონელებმა მონაწილეობა მიიღეს კიევში გამართულ მეგობრობის მატჩში. აქ სტუმრებმა მესამე ადგილი დაიკავეს. წელს პოლონელები გაცხოველებით ემზადებიან ევროპის პირველობისათვის, რომელიც ბუქარესტში ჩატარდება. პოლონეთის გუნდის შემადგენლობაში არიან ვარშავის, ვროცლავისა და კრაკოვის ახალგაზრდა ფრენბურთელები. სამი მათგანი 1952 წლის მსოფლიო პირველობის მონაწილეა.

...საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: სსრკ — რევა, ლიბინში, ჩესნოკოვი, სმოლიანინოვი, ანდრეევი, მონძელევსკი. პოლონელთა შორის იყვნენ: პოლიშჩუკი, ვლეჩიელი, რადომსკი, შლიფი, შოლომნიცკი, კურპიოსი. შეხვედრის პირველი პარტია მოიგეს სტუმრებმა — 18:16. პოლონელთა უპირატესობით აღინიშნა მეორე პარტიაც 15:13. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებმა გამოამჟღავნეს გამარჯვებისაკენ ურყევი სწრაფვა და მომდევნო სამი პარტია მოიგეს ერთნაირი ანგარიშით 15:8.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის ანგარიშია 3:2 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

• • •

სურათზე: საბჭოთა ფრენბურთელების ერთ-ერთი შეტევა.

ფოტო ლ. დორენსკისა.

ევროპის პირველობა კრივში

დასასრულს უახლოვდება ევროპის პირველობის გათამაშება კრივში. დასავლეთ ბერლინის მაყურებლები ყოველ წონით კატეგორიაში საინტერესო, დაძაბული ბრძოლის მოწმენი არიან. ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირმა გამოიყვანა გუნდი შემდეგი შემადგენლობით: ვ. სტოლნიკოვი, ბ. სტეპანოვი, ა. ზასუხინი, ნ. სმირნოვი, ვ. ენგიბარიანი, ს. ისაევი, ქ. ჯანერიანი, გ. შატკოვი, რ. მურაუსკასი და ა. შოციკასი.

უკვე გამორკვეულია გუნდურ პირველობაში გამარჯვების პრეტენდენტები, ესენი არიან საბჭოთა კავშირი, დასავლეთ გერმანია და პოლონეთი. საბჭოთა კავშირისა და დასავლეთ გერმანიის გუნდებიდან შეჯიბრებას ჩამოსცილდა მხოლოდ ორ-ორი მოკრივე (საბჭოთა მოკრივეებიდან, ნ. სმირნოვი და რ. მურაუსკასი), პოლონეთის გუნდიდან კი სამი მოკრივე.

უმძიმეს წონაში ვ. სტოლნიკოვმა ქულებით დაამარცხა თურქეთის წარმომადგენელი სევენტი. ძლიერად ჩაატარა თავისი შეხვედრა ევროპის ჩემპიონმა ვ. ენგიბარიანმა, მან ტექნიკური ნოკაუტით მოუგო შეხვედრა თურქეთის გუნდის წევრს ოტსარს. გ. შატკოვმა პირველსავე რაუნდში ნოკდაუნი გაუკეთა ინგლისელ ჰოუპს. დარჩენილ ორ რაუნდში უპირატესობა საბჭოთა მოკრივის მხარეზე იყო. მას მიეკუთვნა გამარჯვება.

ძლიერად ჩაატარა აგრეთვე მატჩი ქ. ჯანერიანმა თურქ ბაიკუსის წინააღმდეგ და მოიპოვა გამარჯვება.

შეჯიბრების მეექვსე დღეს ახალი წარმატება მოიპოვა ქვემსუბუქ წონაში ევროპის პირველობის პრიზიორმა ა. ზასუხინმა. მან დაამარცხა ლუქსემბურგის მოკრივე მასარტი.

მძიმე წონის რუმინელმა მოკრივემ დ. ჩობოტარუმ გასულ ჩემპიონატში პირველ რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ა. შოციკასი. ამჯერად საბჭოთა მოკრივემ ტაქტიკურად სწორად წარმართა ბრძოლა და ქულებით მოიგო შეხვედრა.

ს. ისაევისა (მეორე ქვესაშუალო წონა) და ფრანგი ანექსის ბრძოლა საინტერესოდ წარიმართა. მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. მსაჯებმა გამარჯვება მიანიჭეს ფრანგს. ამ შემთხვევამ მაყურებელთა უკმაყოფილება გამოიწვია.

მჩატე წონაში ბ. სტეპანოვი (სსრკ) მეოთხედფინალში შეხვდა ბულგარელ ალექსანდროვს. საბჭოთა სპორტსმენმა სამივე რაუნდი ძლიერად ჩაატარა და გაიმარჯვა. გ. შატკოვმა (მეორე საშუალო წონა) მოუგო პიეჩკოვსკის (პოლონეთი).

ამრიგად, ევროპის ჩემპიონის სახელისათვის საბჭოთა გუნდიდან იბრძვის 7 სპორტსმენი, რომელთაგან ორი უკვე გავიდა ნახევარფინალში.

ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდა ასპირანტთა მესამე სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენება — „შტანგასთან მისვლებს შორის დროის რაციონალური გამოყენება დამწყებ ძალოსანთა მომზადების დროს" წაიკითხა ასპირანტმა შ. ბუაძემ, რომელმაც წამოაყენა მეტად აქტუალური საკითხი ძალოსანთა მიერ ამ დროის რაციონალურად გამოყენების შესახებ, რომელიც სპორტსმენებს რჩებათ მისვლებს შორის და აღნიშნა, რომ ძალოსანი, რომელიც მისვლებს შორის პასიური დასვენების ნაცვლად აწარმოებს დამხმარე ვარჯიშებს, შეჯიბრებებზე უკეთეს შედეგებს აღწევს.

მოწონება დაიმსახურა მ. თურომშიძის მოხსენებამ „უკუღებების სწავლების მეთოდიკა კლასიკურ ჭიდაობაში". ტანმოვარჯიშეთა ძალის გამომუშავების საკითხისადმი იყო მიძღვნილი ასპირანტ ი. არუთინოვის მოხსენება „სპეციალური ვარჯიშების დოზირება ტანმოვარჯიშეთა ძალის გამომუშავებისათვის".

სპორტის ფსიქოლოგიის საკითხების მეცნიერულ შესწავლას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. სწორედ ამ თემას მიეძღვნა გ. დვალის მოხსენება, რომელმაც გახსნა ზოგიერთი ფსიქოლოგიური კანონზომიერება სპორტული შეჯიბრებას მსვლელობის დროს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: პროფ. ე. ნორაკიძემ, დოცენტებმა გ. ნიკოლაიშვილმა, ი. ალიხანოვმა, დ. ჩიკვაიძემ, ვ. ელაშვილმა და სხვებმა.

შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ლ. ჩხაიძემ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადის შესახვედრად

განუხრელად ვზარდოთ სპორტული ოსტატობა

ეს თასი გუნდს გადაეცა ჩემპიონატში გამარჯვებისათვის.



• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში საქართველოს ნაკრები გუნდი. (მარცხნიდან პირველ რიგში) კაციაშვილი, სიმონიშვილი, ელერდაშვილი, ნინიაშვილი, დენტოშვილი, გრატიაშვილი, ქველაძე, მაზიაშვილი, მაისურაძე, მუხიაშვილი, ქარქუსაშვილი, შინჯიკაშვილი. წრეში—გუნდის მწვრთნელი შ. ნოზაძე.

კრივში ჩამორჩენა უნდა აღმოიფხვრას

◆

თ. ფურცელაძე

საკავშირო კატეგორიის მსაჯი

◆

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს მოკრივეების მიმართ გამოთქმული იყო საკმაოდ ბევრი შენიშვნა, რომელთა შორის უმეტესა შეეხებოდა სპორტული ტექნიკის ჩამორჩენას. მწვრთნელებსა და მოკრივეებს ხშირად მიუთითებდნენ არასაკმარის ტექნიკურ დახვეწილობაზე, ბრძოლის ტაქტიკის არცოდნაზე. ამასთან, ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდები ისევე, როგორც გამოცდილი მოკრივეები სუსტად არიან დაუფლებული ტექნიკის ცალკეულ ელემენტებს.

ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ამას წინათ ჩატარებულმა საქართველოს პირველობამ კრივში. ჩვენს წამყვან მოკრივეებს კარგი ფიზიკური მონაცემები აქვთ, მაგრამ მათი პირველი და ძირითადი ნაკლი დარტყმების არაგეგმაზომიერებაში მდგომარეობს. ბევრ მოკრივეს აქვს ძლიერი დარტყმა, მაგრამ არაზუსტი, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში დარტყმა სასურველ მიზანს ვერ აღწევს. მოკრივეთა უმრავლესობა საჭიროების გარეშე ჭარბად და ამაოდ ხარჯავს ენერგიას. ისინი ცდილობენ განახორციელონ ძლიერი დარტყმები მაშინაც, როდესაც საამისოდ ნიადაგი არ არის მომზადებული. თვითონ დარტყმებიც საკმაოდ ერთფეროვანია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მხოლოდ ზოგიერთი მოკრივე, და ისიც იშვიათ შემთხვევაში, ხმარობს დარტყმას ქვემოდან (ე. წ. აპერკოტს) უმეტესობა კი ცდილობს დარტყმა ჩაატაროს მხოლოდ სახეში.

მოკრივეებს არასაკმარისად აქვთ დამუშავებული დაცვის ტექნიკა. ერთობ იშვიათად იყენებენ დაცვას ხრიკით, დაკუზვით და გვერდზე გახტომით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოკრივეს არა აქვს ზურგში, კეფაში გარტყმის, არც გაშლილი ხელთათმანით მუშაობის უფლება. ამ ელემენტარულ, ერთი შეხედვით ყველასათვის კარგად ცნობილ წესს, რესპუბლიკის მოკრივეები სისტემატურად არღვევენ. ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს ასეთი სახის დარღვევების 59 შემთხვევა იყო.

ჩვენ არ უარვყოფთ აგრესიული სტილით ბრძოლის უპირატესობას, მაგრამ მარტო იერიშები და გამძლეობა საკმარისი არ არის ძლიერი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. საჭიროა აგრეთვე ბრძოლაში სწორი ტაქტიკის არჩევა. ჩემპიონატმა კი გვიჩვენა, რომ მოკრივეთა უმეტესობას ტაქტიკური ხერხების საკმაოდ ღარიბი არსენალი აქვს. ასე მაგალითად: ტაქტიკურ სისუსტეს იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მოკრივეები ძმები გ. და ნ. დარბაისლები. მართალია, მათ აქვთ უაღრესად კარგი ფიზიკური მონაცემები, ძალა, გამძლეობა, აგრესიულობა, მაგრამ მხოლოდ ამ თვისებათა შიშველი გამოყენება სასურველ შედეგს ვერ აღწევს. ძმებს დარბაისლებს, რომ ბუნებრივ მონაცემებთან ერთად მაღალი ტექნიკა და გააზრებული ტაქტიკა ჰქონდეთ, ისინი უდაოდ დიდი მასშტაბის მოკრივეები იქნებოდნენ. სამწუხაროდ, მწვრთნელებმა მათ თავის დროზე ვერ შეასწავლეს დაცვის ხერხები, ბრძოლის ტაქტიკური მეთოდები, არ დაუყენეს სწორი და ზუსტი დარტყმა.

ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ სპორტსმენთა უმრავლესობა მოქმედებს გარკვეული, წინასწარ შემუშავებული, ერთფეროვანი შაბლონით. ასე მაგალითად, უკვე რამდენიმე წელია რაც ოსტატობა არ აუმაღლებია უდაოდ ნიჭიერ და კარგი მონაცემების მქონე თ. მიქაელიანს. იგი ყველასთან, როგორც ახალბედასთან ისე ოსტატთან, ერთნაირი სტილით, ერთნაირი ტაქტიკით იბრძვის.

სპორტული ტექნიკის ზრდა არ ეტყობა სხვა წამყვან მოკრივეებსაც. კარგა ხანია, რაც ერთ დონეზე გაიყინა ისეთი ნიჭიერი მოკრივეების ოსტატობა, როგორებიც არიან: ლ. ანდღულაძე, გ. შამიროვი, რ. ბიძაია და სხვ.

უდავოა, რომ მოკრივეთა მომზადების დაბალი დონე დამოკიდებულია საწვრთნელო მუშაობის არასისტემატურობასა და ხარისხზე. როგორც ჩანს ჩვენი წამყვანი მწვრთნელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოკრივეთა მრავალფეროვან წვრთნას, მეცადინეობას ატარებენ ერთხელ დადგენილი შაბლონით. რაც, სამწუხაროდ, ვერ პასუხობს თანამედროვე კრივის მაღალ მოთხოვნებს.

მოკრივეთა სპორტული ტექნიკის დაბალი დონე გამოწვეულია იმითაც, რომ დღემდე ვერ აღმოიფხვრა მწვრთნელთა შორის კინკლაობა, ერთმანეთისადმი „ჩასაფრება". კრივის რესპუბლიკური სექციის მწვრთნელთა საბჭოს რამდენიმე წელია, რაც არ შეუმოწმებია მწვრთნელების მუშაობა. ყოველგვარი კონტროლის გარეშე იყვნენ მწვრთნელები აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში, სამხრეთ ოსეთში და სხვ. სრულყოფილად არ ტარდებოდა მწვრთნელთა სემინარები. ცხადია მუშაობა ასეთ პირობებში ვერ გამოიღებდა სასურველ შედეგს.

მოკრივეთა აღზრდაში მათი სპორტული ტექნიკის სრულყოფაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსაჯთა კოლეგიების მუშაობას. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში სათანადო სიმაღლეზე არ დგანან. ცალკეული მსაჯების მიერ ადგილი აქვს ბრძოლის დროს მიკერძოებულ დასკვნებს. არაობიექტური მსაჯების მიმართ დღემდე არავითარი ზომები არ მიუღიათ. ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია კრივის მოყვარული, მათ შორის საკმარისად არიან კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენები, რომლებიც ნორმალური, სისტემატური წვრთნის შედეგად, თამამად ჩადგებიან წამყვან მოკრივეთა რიგებში. საჭიროა მხოლოდ მუშაობის გარდაქმნა, საინტერესო მატჩების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოკრივეთა ოსტატობის ზრდას. ამ მხრივ მისასალმებელია „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივა, რომელმაც მოაწყო ამხანაგური მატჩი მოსკოვის გუნდთან. მსგავსი შეხვედრების მოწყობით ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებს საშუალება მიეცემათ გამოსცადონ ძალები მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ტალინისა და სხვა ქალაქების სპორტსმენებთან ბრძოლაში, თვალნათლივ დაინახონ თავიანთი ნაკლოვანი მხარეები და ენერგიულად იმუშაონ მათ გამოსწორებაზე.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მოსამზადებელი მუშაობა წარმოებს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის. როგორც ცნობილია, სპარტაკიადის პროგრამაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კრივს. ჩვენი რესპუბლიკის მწვრთნელებმა და მოკრივეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა საქართველოს გუნდი სპარტაკიადაზე მაღალი სპორტული მაჩვენებლებით გამოვიდეს.

სპორტული დღე

საქართველოს ალკკ გორის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ახალგაზრდობის კულტურული დასვენების დღე.

დიდძალი მაყურებელი მიიზიდა ქალაქის სტადიონზე ჩატარებულმა შეჯიბრებებმა მძლეოსნობასა და ფეხბურთში. 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა პ. ქოქოშვილმა (11,6), ქალებიდან — ნ. შოთნიაშვილმა. 200 მეტრი ვაჟთა შორის ყველაზე ადრე გაირბინა ვ. რუდკომ. სიმაღლეზე ხტომაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ვ. ავიძემ, ქალებიდან — ო. იაკოვლევამ. სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ვ. კირიაჩენკომ.

მძლეოსნობის ყველა სახეობის მიხედვით სკოლებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა რუსული საშუალო სკოლის კოლექტივი, მეორეზე — მე-6 საშუალო სკოლა. შეჯიბრებაზე კარგი მომზადება აჩვენეს ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

ა. გელაშვილი

საბჭოთა კავშირის 1955 წლის ჩემპიონები

იოსებ გრატიაშვილი

საგარეჯოელებს წესად ჰქონდათ კვირაობით სკოლის სპორტულ მოედანზე მოეყარათ თავი საყვარელი ფალავნების შერკინების საყურებლად. როგორ უყვარდა იოსებს ეს დღეები! იქვე, მოედანთან ერთი მაღალი ჭადარი ჰქონდა ამორჩეული, ზედ მოიკალათებდა და სულგანაბული ადევნებდა თვალს ვაჟკაცთა ნავარდს წრეში.

ნამდვილი ფალავნობის დაწყებამდე ერთმანეთს პატარები შეებმებოდნენ ხოლმე. იოსებიც ჭიდაობდა თავის ტოლებთან. ერთხელ, მის ჭიდაობას საგარეჯოელი მოჭიდავე, შემდგომში საქართველოს ჩემპიონი ოსია ქაიხოსროშვილი შეესწრო. პატარა იოსების სხარტმა მოძრაობამ და ღონემ მიიპყრო ჩემპიონის ყურადღება.

— ბიჭოს! შენ ნამდვილი მოჭიდავე ყოფილხარ, — გაუღიმა მან პატარას, — ხვალ ჩემთან გამოიარე, ახალ ილეთებს შეგასწავლი.

იმ დღიდან ოსია ყოველდღიურად ამეცადინებდა იოსებს, რომელიც სწრაფად ითვისებდა ჭიდაობის რთულ ხერხებს. ოსიამ ჩაუნერგა იოსებს აზრი, რომ ჭიდაობა მისი შემთხვევითი გატაცება კი არა, მოწოდება იყო.

წლები გადიოდა. იოსები დავაჟკაცდა. მალე საბჭოთა არმიის რიგებშიც გაიწვიეს, მაგრამ ვერც აქ შეელია იგი საყვარელ სპორტს — ჭიდაობას. ნაწილში სამბოს მოჭიდავეთა სექციის წამყვან წევრად ითვლებოდა.

პირველ ბრძოლებს არ მოჰყოლია გამარჯვების სიხარული, რომელიც სანუკვარია ყოველი სპორტსმენისათვის. გულმოდგინე და დაუღალავმა წვრთნამ იოსები დაარწმუნა საკუთარ სიძლიერეში. მაგრამ სხვაა სავარჯიშო შეხვედრა. კიდევ სხვა — ოფიციალური. იოსები ელოდა შეჯიბრებაზე გამოსვლას და აი, ეს დროც დადგა.

1952 წელს გრატიაშვილი მოსკოვშია „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. მოსკოველი მაყურებელი მოხიბლა ახალგაზრდა, დაუდეგარი მოჭიდავის ნებისყოფამ, გამბედაობამ და გამარჯვებისაკენ სწრაფვამ. იოსებმა ყველა ბრძოლა მოიგო და ფინალში გავიდა. აქ იგი პირველად შეხვდა მოჭიდავეს, რომლის სახელთან დაკავშირებული იყო ბევრი სასახელო გამარჯვება. იოსები დამარცხდა, მაგრამ არა რიგით მოჭიდავესთან ბრძოლაში, არამედ სამბოს ცნობილ ოსტატთან ა. ლატიშევთან. მალე გრატიაშვილი უკრაინის ჩემპიონი გახდა (ამ სახელს საქართველოში დაბრუნებამდე ატარებდა).

1953 წლის „დინამოს" საკავშირო პირველობაზე იოსები და ა. ლატიშევი კვლავ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ საჭიდაო ხალიჩაზე. ბრძოლა კვლავ ტექნიკურმა და გამოცდილმა მოსკოველმა მოიგო.

სამბოსთან ერთად ი. გრატიაშვილი თავისუფალ ჭიდაობაშიც ოსტატდებოდა. 1954 წელს იგი „დინამოს" პირველობის მონაწილეა თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს წარმომადგენელ მუზაშვილთან წაგების შემდეგ მან მესამე ადგილი დაიკავა.

ამავე წელს ხარკოვში ჩატარდა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ გასახდელში იოსებს უცნობი მიუახლოვდა.

— ყოჩაღ! ვეფხვივით იბრძოდი, — აღტაცებით უთხრა მან იოსებს, — მე ნოზაძე ვარ, საქართველოს გუნდის მწვრთნელი, თბილისში რომ ჩამოხვალ, მინახულე. თანხმობის ნიშნად იოსებმა მაგრად ჩამოართვა ხელი მომავალ მწვრთნელს.

1955 წლის გაზაფხულზე იოსებ გრატიაშვილი თბილისშია. აქ ერთმანეთს ხვდებიან „ძველი ნაცნობები" —გრატიაშვილი და ნოზაძე. გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით იოსები იწყებს სისტემატურ ვარჯიშს. მოახლოვდა საკავშირო პირველობა სამბოში.

... რიგა. საჭიდაო სარბიელი გარშემორტყმულია მრავალრიცხოვანი მაყურებლით. დიქტორი აცხადებს: ხალიჩაზე არიან მსუბუქი წონის მოჭიდავეები: ტროფიმოვი — ლენინგრადი, გრატიაშვილი — საქართველო.

იოსებმა თავიდანვე ვერ ააწყო ბრძოლა, ღელავდა, თვითონაც უკვირდა, სხვა დროს ასეთი რამ არ დამართნია, ახლა კი, როცა ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თითქოს განზრახ დაჰკარგა სიმშვიდე. შეხვედრა ტროფიმოვის უპირატესობით წარიმართა და გამარჯვებაც მას მიენიჭა.

მეორე ბრძოლაც (სპორტის ოსტატ საფინთან) გრატიაშვილის დამარცხებით დამთავრდა. იოსების ადგილზე სხვა სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, ხელს ჩაიქნევდა შემდგომ შეხვედრებზე. მაგრამ იოსები არ ეკუთვნის ასეთების რიცხვს. დამარცხებამ იგი თითქოს ბურანიდან გამოიყვანა, ძალა შემატა. მან ზედიზედ 7 ბრძოლა მოიგო და ფინალში გავიდა.

აი, ფინალიც! იოსების პირდაპირ კუთხეში დგას მისი ძველი მეტოქე, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, ალექსანდრე ლატიშევი. ცხარე ბრძოლა დაიწყო. მთელი შეხვედრის მანძილზე იგი გაშმაგებით უტევდა მოწინააღმდეგეს, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა თავი დაეღწია იოსების მარწუხებივით შემოჭდობილი მკლავებისაგან, მაგრამ ამაოდ. გრატიაშვილის ყოველი მოძრაობა ზუსტი და მოულოდნელი იყო. ილეთი... კიდევ ერთი ილეთი... და მსაჯთა ბარათებში ქულები გრატიაშვილის სასარგებლოდ აღინიშნა. გაისმის სასტვენის ხმა. ბრძოლა დამთავრდა. მსაჯი იოსებს მიუახლოვდა და ხელი აუწია.

— გამარჯვება და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მიენიჭა გრატიაშვილს,—გამოაცხადა დიქტორმა.

უ. ჯიჯინაძე

ფეხბურთის მოედნებზე

კიდევ ერთი დამარცხება

„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

... თამაშის მე-7 წუთია. „ლოკომოტივის" მარჯვენა გარემარბმა რაზუმოვსკიმ შორიდან მიიღო გადაცემა, მოხერხებულად გაექცა სარჯველაძეს, რომელიც მას ერთობ სტაიერული ტემპით გამოეკიდა და კართან გავიდა. „დინამოს" მეკარემ პირაევმა კარი დატოვა ყველაზე უფრო შეუფერებელ მომენტში და მოსკოველმა მშვიდად გაიტანა ბურთი.

65-ე წუთზე პირაევმა კვლავ ანგარიშმიუცემლად, უხეში ტაქტიკური შეცდომით დატოვა კარი და საჯარიმო მოედნის ხაზთან გამოსულმა უმისამართოდ მოიგერია ბურთი. გულიაევმა (№ 11) შორი მანძილიდან ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი კარში.

მატჩის დამთავრებას წუთნახევარი აკლდა, როცა რაზუმოვსკი კვლავ გაექცა სარჯველაძეს, რომელიც მთელ თამაშში ხშირად კითხულობდა მის ზურგზე შვიდიანს, გადააწოდა ცენტრში. აქ გადაცემა მიიღო ბუზუკინმა (№ 8) და დაარტყა კარში. პირაევმა დაუფიქრებლად შეუშვირა ხელები, ალებას ფიქრობდა, მაგრამ... თავს უკან გადააგდო და ბურთი საკუთარ ბადეში გაახვია.

ასე გავიდა 4 ივნისის მატჩში თბილისის „დინამოს" კარში 3 ბურთი. თითქმის ყოველთვის ანალოგიურ, უხეშ შეცდომებს უშვებენ „დინამოს" მცველები. შეიძლება ითქვას, რომ „ა" კლასში ამჟამად თითქმის არც ერთი გუნდის კარში არაა ისე იოლი ბურთის გატანა, როგორც თბილისელთა გოლში, ხოლო პირაევის თამაში იმდენად უსუსური და დაბალი კვალიფიკაციისაა, რომ მის შესახებ კომენტარები ზედმეტია. მხოლოდ მწვრთნელის შეცდომით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ რუმინეთის ფეხბურთელებთან მეტად სუსტად ჩატარებული თამაშის შემდეგ, პირაევი 4 ივნისს კვლავ 90 წუთი იდგა კარში. და ეს მაშინ, როცა სათადარიგო მეკარე შოთა კოტია ამჟამად მასზე გაცილებით უკეთ თამაშობს.

მაგრამ, მხოლოდ მეკარეში და დაცვაში არაა საქმე. ის თამაში, რომელსაც დინამოელები აჩვენებენ მაყურებლებს, იოტის ოდენადაც ვერ აკმაყოფილებს მათ. მოედანზე არაა ერთიანი, მთლიანი კოლექტივი, არ ჩანს სწრაფვა გამარჯვებისადმი. თბილისელები აგებდნენ თამაშს ანგარიშით 0:1 და შემდეგ შეძლეს ზედიზედ ორი ბურთის გატანა (ვარდიმიადი, კალოევი), მაგრამ ამას მათში არ გამოუწვევია რაიმე აღმავლობა. მათ კვლავ მისცეს საშუალება მოწინააღმდეგეს ხელთ აეღო ინიციატივა და თავის სასარგებლოდ დაემთავრებია შეხვედრა.

მოკლე წერილში ძნელია თამაშის დაწვრილებითი ანალიზის გაკეთება, მაგრამ ისეთმა პრიმიტიულმა ამბებმა, როგორიცაა ლოლობერიძის მიერ პენალტის სისტემატური გამოუყენებლობა, კუთხურა მიწოდების ტრაფარეტული გათამაშება, მოწინააღმდეგის კარის მახლობლად საჯარიმო დარტყმების ფუჭად დაკარგვა (იმავე ლოლობერიძის წყალობით), უხეში შეცდომები ნახევარდაცვასა და დაცვის თამაშში, სერიოზულად უნდა დააფიქროს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო და გუნდის ხელმძღვანელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

დ. გომართელი

* * *

კარგად ჩაატარეს მატჩი „დინამოს" დუბლიორებმა მოსკოვის რკინიგზელთა წინააღმდეგ. ჩიჩუამ და მესხმა ორი შესანიშნავი გოლი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

სსრ კავშირის პირველობა

◆

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი

მდგომარეობა 5 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	8	6	2	0	19:4	14
ცდსა	8	6	2	0	16:5	14
„ტორპედო"	8	4	4	0	11:6	12
„სპარტაკი" მ.	8	4	2	2	9:7	10
„ლოკომოტივი"	9	2	4	3	13:13	8
„შახტიორი"	8	1	5	2	9:9	7
„დინამო" თბ.	8	2	3	3	10:11	7
„დინამო" კ.	8	2	3	3	8:11	7
„ზენიტი"	8	2	2	4	7:12	6
„შრ. რეზერვები"	9	2	2	5	14:22	6
„კრ. სოვეტოვი"	8	1	2	5	8:18	4
„სპარტაკი" მნ.	8	0	3	5	7:13	3

„ა" კლასის ოსტატთა მატჩი

მოსკოვი. 2 ივნისი. გათამაშების ლიდერი მოსკოვის „დინამო" თავის მოედანზე შეხვდა ლენინგრადის „შრომით რეზერვებს".

მოსკოველებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

თბილისის თასზე

სსრ კავშირის თასის გათამაშება ქალაქ თბილისში მაისში დაიწყო. მონაწილეობდა 28 გუნდი.

გათამაშებაში პირველად ჩაებნენ მესამე კატეგორიის გუნდები, შემდგომში მონაწილეებს მიემატნენ მეორე და პირველი კატეგორიის გუნდებიც.

ნახევარფინალურ თამაშებში ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველმა გუნდმა განიცადა დამარცხება 26 კომ. სახ. რაიონის გუნდისაგან — 0:2, ხოლო ოფიცერთა სახლის პირველმა გუნდმა დაამარცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი ანგარიშით 2:1.

საინტერესო ფინალური მატჩი ოფიცერთა სახლის პირველ გუნდსა და 26 კომ. სახ. რაიონის ფეხბურთელებს შორის დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ა. გონელი

საერთაშორისო შეჯიბრებები

4 ივნისს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „ტორპედო" და ჩეხოსლოვაკიის გუნდი „რუდე ზვეზდე". მატჩი (2:1) მოიგეს ტორპედოელებმა.

ლენინგრადში ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთის „ლოკომოტივი" და ლენინგრადის „ზენიტი". შეხვედრა დამთავრდა რუმინელთა სასარგებლოდ — 1:0.

საქართველოს პირველობა

მოგვყავს ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე მონაწილე მეორე ჯგუფის გუნდების შეხვედრათა შედეგები. **აღმოსავლეთის ზონა:** „კოლმეურნე" (ადიგენი)-„სტროიტელი" (რუსთავი) — 2:2, გურჯაანი (ნაკრები)-„კოლმეურნე" (გურჯაანი) — 1:0, წითელწყარო (ნაკრები)-„ლოკომოტივი" (ხაშური) — 1:1, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი)-ყვარელი (ნაკრები) — 5:2, ახალქალაქი (ნაკრები)-„სპარტაკი" (თელავი) — 3:1. **დასავლეთის ზონა:** „კოლმეურნე" (ლანჩხუთი)-ხობი (ნაკრები) — 2:1, საჩხერე (ნაკრები)-წულუკიძე (ნაკრები) — 1:3, ზესტაფონი (ნაკრები)-გუდაუთა (ნაკრები)— 0:3, „ლოკომოტივი" (სამტრედია)-„შახტიორი" (ტყიბული) — 4:1, „სპარტაკი" (ცხაკაია)-„ტორპედო" (ქუთაისი) — 1:2.

მესამე ჯგუფი. I ზონა: ლაგოდეხი (ნაკრები)-მცხეთა (ნაკრები)— 6:0, კაჭრეთი (ნაკრები)-თეთრი წყარო (ნაკრები) — 1:2, „კოლმეურნე" (საგარეჯო)-ახმეტა (ნაკრები) — 5:1, „კოლმეურნე" (თელავი)-გარდაბანი (ნაკრები) — 2:2, **II ზონა:** „შახტიორი" (ახალციხე)-დუშეთი (ნაკრები)— 3:3, ასპინძა (ნაკრები)-წალკა (ნაკრები) — 1:2, დმანისი (ნაკრები)-მარნეული (ნაკრები) — 4:1, ბოგდანოვკა (ნაკრები)-ბოლნისი (ნაკრები)—0:3. **III ზონა.** მაიაკოვსკი (ნაკრები)-„კოლმეურნე" (საჩხერე) — 3:0, „კოლმეურნე" (ბათუმის რ-ნი)-ამბროლაური (ნაკრები) — 0:1, ცაგერი (ნაკრები)-„უროჟაი" (დიდი ჯიხაიში) — 1:5, „ლოკომოტივი" (ტყიბული)-თერჯოლა (ნაკრები) — 0:1. **IV ზონა:** წყალტუბო (ნაკრები)-„სპარტაკი" (აბაშა)—0:0, „კოლმეურნე" (გალი)-ჩხოროწყუ (ნაკრები) — 6:1, გეგეჭკორი (ნაკრები)-წალენჯიხა (ნაკრები) — 4:3, „მეტალურგი" (ჭიათურა)-„სპარტაკი" (ვანი) — 2:2.

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 5 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" ბათ.	5	5	0	0	9:2	10
„კოლმეურნე" მახ.	4	4	0	0	5:0	8
„დინამო" ქუთ.	5	3	1	1	12:5	7
ფოთი (ნაკრები)	5	2	2	1	8:4	6
26 კომ. რ-ნი თბ.	5	3	0	2	13:7	6
ტ. ტ. ს-ი თბ.	4	2	1	1	6:3	5
„კოლმეურნე" ქობ.	4	2	0	2	7:6	4
„დინამო" სოხ.	5	1	2	2	3:6	4
„ლოკომოტ". თბ.	4	1	1	2	7:5	3
„დინამო" გორი	5	1	1	3	3:8	3
„მეტალ". რუსთ	5	1	0	4	4:8	2
„პიშჩევიკი" ბორ.	5	1	0	4	3:19	2
„სპარტაკი" სტ.	5	0	1	4	4:11	1
„მესტპრომი" თბ.	1	0	1	0	0:0	1

უძლიერესთა შეხვედრა

თბილისის „დინამოს" სტადიონზე 3 ივნისს დაიწყო და დღეს მთავრდება საქართველოს უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება.

ასეთი ხასიათის შეჯიბრება თბილისში მიმდინარე წლის თებერვალში ჩატარდა. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, რაც მონაწილეებს შედეგების გაუმჯობესების საშუალებას აძლევდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მონაწილეთა უმეტესობამ რაციონალურად არ გამოიყენა ეს დრო და ამ შეჯიბრებაზე შედარებით დაბალი შედეგები აჩვენა.

ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატმა ლ. სანაძემ 10,8 წამი აჩვენა. ერთნაირი შედეგით (11,0) მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ რ. ტრაპაიძე და ლ. ანთაძე. სუსტი იყო ბათუმელ ი. პოლობუევის გამოსვლა 5.000 მეტრზე რბენაში. 66 სანტიმეტრით გააუარესა შედეგი ქალთა შორის შუბის ტყორცნაში გ. ბრიტვინამ. ამ შეჯიბრებაზე მის მიერ ნატყორცნი შუბი 40 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე დაეცა. მეორე ადგილზე გამოსულ ი. ლუპარევას შედეგია 37,44 მ.

ამ შეხვედრაში შედარებით კარგად გამოვიდნენ ქალები 800 მეტრზე რბენაში. წინა შეჯიბრებაზე გამარჯვებულ გ. ელახოვას დრო უდრიდა 2:45,6. ამჟამად კი ს. შახოვას 15,3 წამით უკეთესი შედეგი ჰქონდა.

100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის გაიმარჯვა ქოჩლაძემ (12,9). ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ნ. მაღლაფერიძემ დაძლია 175 სმ. ბადროს ტყორცნაში პირველ ადგილზე გამოვიდა გ. ჩადუნელი (45,29 მ.) მეორეზეა სტალინირელი შ. ტრანკაშვილი (41,20 მ.). ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ს. როზანოვამ მეოთხე ცდაზე დაძლია 150 სანტიმეტრი და გაიმარჯვა.

60 მეტრზე რბენაში ჭაბუკთა შორის ყველაზე კარგი შედეგი — 7,1 წამი ჰქონდა ლ. ანთაძეს. მას 0,2 და 0,4 წამით ჩამორჩნენ მ. ჩუხრუკიძე და გ. სხირტლაძე. სხირტლაძემ სამაგიეროდ გაიმარჯვა 100 მეტრზე რბენაში (11,8).

ბ. გურგენიძის გამარჯვება

◆

საბჭოთა კავშირის XXIII ჩემპიონატის ზონალური ტურნირის შედეგები

◆

ბ. გურგენიძე

მ. შიშოვი

ზონალური ტურნირის უკანასკნელ — XVII ტურში გურგენიძის შეხვედრა ტარასოვთან ყაიმით დამთავრდა. გოგლიძემ, რომელიც თეთრებით თამაშობდა ტოპროვერთან ლაზიერის ფრთაზე მოხდენილად შექმნა გამსვლელი პაიკი და გაიმარჯვა. შიშოვმა ადვილად მოუგო თათევოსიანს. დანარჩენ დაფებზე: კასპარიანმა გაიმარჯვა სარდაროვთან, ებრალიძემ — გიორგაძესთან, ამირხანოვმა — გოლდინთან, კალაშიანმა — რეგენბოგენთან, ჰალილბეილიმ — ლისტენგარტენთან, ხოლო ქარსელაძე-სარიჩევის შეხვედრა მშვიდობიანი ყაიმით დასრულდა.

ამრიგად, ოთხკვირიანი შინაარსიანი თამაშის შემდეგ ზონალური ტურნირი დამთავრდა 21 წლის ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატ ბუხუტი გურგენიძის გამარჯვებით. მან 17 შესაძლებლიდან 13 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე დამსახურებულად ავიდა. ნიჭიერმა მოჭადრაკემ 9 პარტია მოიგო, 8 ყაიმით დაამთავრა. ეს გამარჯვება გურგენიძის სპორტულ ბიოგრაფიაში უდაოდ მნიშვნელოვანი მიღწევაა. გურგენიძე ოსტატის ძალით თამაშობს და მას მხოლოდ ამ წოდების ოფიციალური გაფორმება სჭირდება. ახალგაზრდა მოჭადრაკეს კარგად ესმის პოზიცია. მის მოგებული პარტიები გოლდინთან, სარდაროვთან, ებრალიძესთან და სხვებთან სრულფასოვანი და შინაარსიანი ბრძოლით აღსავსეა. მაგრამ გურგენიძე არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით. მან კიდევ უნდა სრულყოს თავისი თამაში (რასაკვირველია, გამოცდილი ხელმძღვანელების დახმარებით) და მაშინ მისი შემოქმედება განუხრელი, მზარდი გზით წავა.

სატურნირო გამოცდილი მებრძოლი, საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი შიშოვი გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა. აღსანიშნავია, რომ შიშოვის თამაში ტურნირიდან ტურნირამდე სულ უფრო სრულყოფილი ხდება.

ბაქოელი ამირხანოვი ტურნირის მთელ მანძილზე ლიდერთა ჯგუფში იყო და ბოლოს 11,5 ქულით III ადგილი დაიკავა.

შემდგომი IV—V—VI ადგილები ერთნაირი შედეგებით (11 ქულა თვითეულს) გაინაწილეს: ოსტატმა ებრალიძემ, ბაქოელმა ოსტატობის კანდიდატმა ტოპროვერმა და მოლდავეთის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა ტარასოვმა. კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით IV ადგილი დაისაკუთრა ებრალიძემ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის XXIII ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ბაქოში, დნეპროპეტროვსკსა და არხანგელსკში გათამაშდება, ჩვენი ზონალური ტურნირიდან მონაწილეობას მიიღებენ გურგენიძე, შიშოვი, ამირხანოვი და ებრალიძე.

სხვა მონაწილეთა ტექნიკური შედეგები ასეთია: ოსტატი კასპარიანი (ერევანი)—10,5 ქულა, სპორტის დამსახურებული ოსტატი გოგლიძე — 10, ოსტატობის კანდიდატები გოლდინი (კიროვაკანი), კალაშიანი (ერევანი), ჰალილბეილი (ბაქო) — 8,5 თვითეულს, ლისტენგარტენი (ბაქო) — 7,5, ოსტატობის კანდიდატი გიორგაძე — 7, ოსტატობის კანდიდატი სარდაროვი (კიროვაბადი)—5,5, პირველთანრიგოსანი ქარსელაძე — 5 ქულა; ბოლო ადგილები 4-4 ქულით გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა რეგენბოგენმა (კიშინიოვი), სარიჩევმა (ბაქო) და თათევოსიანმა (ერევანი).

მეტს მოველოდით გოგლიძისა და კასპარიანისაგან. სომეხმა ოსტატმა წარუმატებლად დაიწყო ტურნირი და მიუხედავად იმისა, რომ ფინიშზე მან უკანასკნელი ხუთი პარტია მოიგო, მაინც ვერ შეძლო დაკარგულის ანაზღაურება. გოგლიძემ პირიქით —ტურნირი კარგად დაიწყო და დიდხანს ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა, მაგრამ ფინიშზე მან მოულოდნელად სამი დამარცხება განიცადა, რის გამოც ოთხეულში გასვლის შანსები დაკარგა.

უნდა შევნიშნოთ, რომ მონაწილეთა საშუალო ასაკი 34 წელს უდრიდა. ეს ფაქტი ლაპარაკობს იმაზე, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა მოჭადრაკეების მომზადებას.

დასასრულს უნდა აღინიშნოს რომ ტურნირი ჩინებულად იყო მოწყობილი. იგი მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. მონაწილეები თავისუფალ დროს გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, იყვნენ თეატრებში, მუზეუმებში...

ტურნირის მსვლელობისას მრავალრიცხოვან მაყურებელთათვის ჩატარდა მასობრივი ღონისძიებები, ორი ერთდროული თამაშის სეანსი, ლექცია პარტიის დემონსტრირებით.

შეჯიბრების საზეიმო დახურვის შემდეგ, რომელიც თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო, გაიმართა ელვისებური ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვა გოლდინმა (12 ქულა 14 შესაძლებლიდან). გოლდინს გადაეცა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თასი.

ა. აკოპიანი,
ზონალური ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

რაიონის პირველობაზე

სტალინირი. (ჩვენი კორ.). რაიონის პირად-გუნდურ პირველობაზე მძლეოსნობაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ვანათის საშუალო სკოლამ, მეორე — ქსუისის საშუალო სკოლამ. 100,200,400 და 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდნენ თ. რაინიშვილი, დ. მაისურაძე, ა. თიგიევი, ლ. ალბოროვი. ვაჟთა შორის სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვეს ნ. ბასიშვილმა და ბ. გასიშვილმა. ბირთვის კვრაში პირველი ადგილი დაიკავეს ვანათელებმა გ. ქაბულოვმა და ე. გოლეგაშვილმა. 1.500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ს. ჯავახიშვილმა. ხელყუმბარა ყველაზე შორს ტყორცნეს ს. ბოლოთაევმა და დ. მაისურაძემ.

ვ. მელქოევი

ნანგა პარბატი

◆

ო. გიგინეიშვილი

დ. ზატულოვსკი

◆

ინდოეთის ზღაპრულად ლამაზ მხარეთა შორის ყოველთვის იხსენიებენ ქაშმირს — ქვეყანას ყარაყორუმისა და ჰიმალაის ქედებში. თვით ქაშმირელებს რომ ჰკითხოთ, თუ რა არის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მათ სამშობლოში, ისინი უთუოდ დაასახელებენ ნანგა პარბატს — მარად თოვლიან მწვერვალს, რომელიც გვირგვინივით ადგას თავს მთელ ქაშმირს.

ნანგა პარბატი კარგად ჩანს ქაშმირის ყველა ხეობიდან და ველიდან, ქალაქიდან და სოფლიდან. როდესაც მას ჯელუმის ან ასტორის ხეობიდან უყურებთ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ეს მთა ცაში ატყორცნილა პირდაპირ ქაშმირის ველების ატმის ბაღების შუაგულიდან. ქაშმირელებმა ასეც უწოდეს მას — ნანგა პარბატი, ანუ შიშველი მთა. მაგრამ რაღაც განსაკუთრებულად საოცარი და დიდებულია ეს მწვერვალი ინდოელთათვის წმინდა მდინარის — ინდის ხეობიდან, ინდის ხეობის მცხოვრებთათვის ის უკვე ნანგა პარბატი აღარ არის, მას აქ დიამირს ანუ მთათა მეფეს უწოდებენ.

უკვე კარგა ხანია, რაც ამ მთათა მეფემ მიიზიდა ევროპიელნი. ქაშმირის პირველი ევროპიელი დამპყრობნი ინგლისელები იყვნენ და მათვე სცადეს პირველად (1895 წელს) ნანგა პარბატზე ასვლა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ამ მწვერვალს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 8.125 მეტრს უდრის, ადამიანები მიაღწევდნენ მხოლოდ 58 წლის ბრძოლისა და მრავალი ადამიანის მსხვერპლის გაღების ფასად.

ინგლისელმა მემერიმ პირველმა მიიტანა იერიში ნანგა პარბატზე. მან ჰიმალაის მწვერვალებზე ასვლებისათვის მზადება ალპებში დაიწყო, შემდეგ მოდის კავკასიონზე 5.000 მეტრის სიმაღლის მწვერვალებზე ასასვლელად. აქ ის 1888 წელს პირველ ასვლას ახდენს დიხ-თაუზე და 1895 წელს მიემგზავრება ნანგა პარბატისაკენ. მწვერვალისაკენ გზების საძიებლად წასული მემერი ადგილობრივ გურკების ტომიდან აყვანილ მზიდავთან ერთად დაიღუპა როკხიოტის მყინვარის გადასვლისას.

გავიდა 37 წელი. ნანგა პარბატის მიდამოებში კვლავ გამოჩნდნენ მთამსვლელები. ამჯერად, მწვერვალს ეწვიენ გერმანელები.

1932 წელს გერმანულ-ავსტრიული ექსპედიცია ვ. მერკლის ხელმძღვანელობით უშედეგოდ ცდილობს ნანგა პარბატზე ასვლას. 1934 წელს იგივე მერკლი კვლავ მიემგზავრება ნანგა პარბატისაკენ. ამჟამად, ეს იყო საკმაოდ მრავალრიცხოვანი ექსპედიცია. მარტო მზიდავთა რიცხვი 570 კაცს უდრიდა. ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მერკლიმ ჩამოიყვანა რამდენიმე ნეპალელი შერპების ტომიდან. ესენი იყვნენ შესანიშნავი მთამსვლელები, ბევრად უფრო ძლიერნი ვინემ გერმანელები. ბევრ მათგანს დამსახურებული ჰქონდა „ჰიმალაელი ვეფხვის“ წოდება. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ მათ ჰიმალაის მწვერვალებზე ასვლის დროს მიაღწიეს 8.000 მეტრის სიმაღლეს. მაგრამ შერპები ჩამოიყვანა მერკლიმ არა იმიტომ, რომ მათ გერმანელებთან ერთად გაეზიარებინათ ნანგა პარბატზე ასულთა დიდება, ნეპალელებს უნდა ეზიდათ ტვირთი გერმანელებისათვის ისეთ სიმაღლეებზე, სადაც ქაშმირელი მზიდავები აღარ გამოდგებოდნენ.

ექსპედიციის დასაწყისი ტრაგიკული იყო. 5.900 მეტრის სიმაღლეზე ფილტვების ანთება დაეწყო მთამსვლელ დრექსელს. ანთება კი ასეთ სიმაღლეზე მეტად საშიში, თითქმის განუკურნებელია. დრექსელი გარდაიცვალა. დანარჩენებმა განაგრძეს იერიში. უკანასკნელი, მწვერვალის წინა ბანაკი მათ მოაწყვეს 7.700 მეტრის სიმაღლეზე. ეს იყო ბანაკი № 8. ამ ბანაკიდან მთამსვლელები აპირებდნენ მწვერვალის იერიშს. მაგრამ ბანაკში ასვლის პირველსავე ღამეს, 6 ივლისს, გაავდარდა. ამოვარდა ძლიერი ქარი, დაიწყო თოვა, წნევა მკვეთრად დაეცა. ეს კი ჟანგბადის შემდგომ შემცირებას და სუნთქვის კიდევ უფრო გაძნელებას ნიშნავდა. 5 გერმანელი მთამსვლელი და 11 მზიდავი გამოდარების იმედით კარვებში იცდიდნენ. ამინდს კი პირი არ უჩანდა. ამ სიმაღლეზე დიდხანს უმოქმედოდ დარჩენა ნიშნავდა ძალების უაზროდ ხარჯვას, ვინაიდან ჟანგბადის ნაკლებობის გამო ორგანიზმი მწოლიარე მდგომარეობაშიც კი არ ისვენებს, ილევა.

8 ივლისს, ორი უძილო ღამის შემდეგ მერკლიმ გადაწყვიტა დაშვება. წინ, ქვედა ბანაკისაკენ გზის გასაკაფავად მან გაუშვა შნეიდერი და აშენბრენერი. მერკლის არჩევანი არ იყო შემთხვევითი. შნეიდერი სასიმაღლო ასვლების ოსტატი იყო. მას უკვე ჰქონდა აღებული ექვსი 7.000 მეტრზე უფრო მაღალი მწვერვალი. მართალია შნეიდერს ჰქონდა ძალიან დიდი მთამსვლური გამოცდილება, დიდი ფიზიკური ძალა, მაგრამ სამაგიეროდ არ აღმოაჩნდა არც ვაჟკაცობა და არც მთამსვლური ეთიკა. ყველაზე უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო უბანზე შნეიდერმა და აშენბრენერმა თოკიდან გამოხსნეს და გზაზე მიატოვეს სამი შერპი მზიდავი — ნიმა დორიე, ნიმა ტაში და პინცო ნორბუ. ახლა ეს შესანიშნავი მთამსვლელები და მზიდავები გერმანელებისათვის საჭირონი აღარ იყვნენ. ქვევით, ბანაკში, მათ ეგულებოდათ კარვებიც და სანოვაგეც. შნეიდერმა და აშენბრენერმა მშვიდობით მიაღწიეს 6.000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ბანაკს, შერპები კი ბანაკში არ ჩამოსულან. ისინი გზაზე დაიღუპნენ. შნეიდერმა და აშენბრენერმა მიატოვეს არა მარტო შერპები, არამედ დახმარების გარეშე დასტოვეს ზევით დარჩენილი თავისი გერმანელი ამხანაგებიც.

9 ივლისს ქვედა ბანაკიდან კარგად ჩანდა ზევით დარჩენილი მთამსვლელები თუ როგორ ეშვებოდნენ თხემით. მათაც მიჰბაძეს შნეიდერისა და აშენბრენერის მაგალითს და სასიკვდილოდ განწირეს აგრეთვე სამი მზიდავი. ისინი მიატოვეს ზედა ბანაკში 7.700 მეტრის სიმაღლეზე, ვინაიდან დიდი ტვირთის ტარებით მოქანცულ შერპებს ძალა აღარ შესწევდათ, ქარი აძნელებდა მოძრაობას, ფეხზე გაჩერება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალების უკიდურესი დაძაბვით. ახლა ყოველი მათგანი თავის გადარჩენაზე უფრო ფიქრობდა. ყველა აპათიამ შეიპყრო. ერთმანეთს აღარ აქცევდნენ ყურადღებას, აღარ აინტერესებდათ ერთმანეთის ბედი. განსაკუთრებით დასუსტდა გერმანელი ვილანდი. ღამართს და ქარს დასასრული არ უჩანდა. ამხანაგები თოვლის კორიანტელში გაუჩინარდნენ, ვილანდი კი კარგავდა უკანასკნელ ძალებს. ჯგუფი გაჩერდა № 7 ბანაკში — 7.200 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ ვილანდი იქ არ ჩასულა. მხოლოდ შემდეგ იპოვეს ვილანდის გვამი ბანაკიდან 30 მეტრის დაშორებით.

ამავე დროს, ზევით, № 8 ბანაკში სიკვდილს ებრძოდა 3 შერპი მზიდავი. 11 ივლისს გარდაიცვალა ერთი მათგანი — დაქსი, ორმა დარჩენილმა კი ანგცერინგმა და გაი ლაიმ დაიწყეს დაშვება № 7 ბანაკისაკენ, სადაც მათ დახვდათ ორი გერმანელი: ექსპედიციის უფროსი მერკლი და ვილცენბახი. ორივე იმდენად დასუსტებული იყო, რომ ვერ მოძრაობდნენ. მერკლს და ვილცენბახს მათთან მყოფი ოთხი შერპი მზიდავი წინ გაეგზავნათ მაშველი ჯგუფის გამოსაძახებლად. 12 ივლისს გარდაიცვალა ვილცენბახი. ანგცერინგი და გაი ლაი მხრებში ამოუდგნენ მერკლის და ისე განაგრძეს დაშვება. მათ იარეს თხემით სანამ არ მიაღწიეს როკხიოტის პიკის ფერდობს. აქ მერკლის ძალამ საბოლოოდ უმტყუნა. ფეხების გადადგმა მას უკვე აღარ შეეძლო. მაშინ ანგცერინგი განაგრძობს დაშვებას, რომ ქვევით მყოფ მთამსვლელებს შეატყობინოს მერკლის მძიმე მდგომარეობა. გაი ლაი კი რჩება მერკლისთან. ეს ნიშნავდა თავის განწირვას, მაგრამ მთიელის გრძნობა მას არ აძლევდა ამხანაგის მარტო დატოვების უფლებას. ანგცერინგმა მიაღწია № 4 ბანაკს და იქ მყოფთ შეატყობინა ზევით დარჩენილთა ამბავი. მერკლის მძიმე მდგომარეობის შესახებ № 4 ბანაკში ისედაც იცოდნენ, ვინაიდან აქ მკაფიოდ ისმოდა მერკლისა და გაი ლაის ხმა. ცხადი იყო ისინი შველას ითხოვდნენ. მშველელი კი არავინ იყო. გაი ლაი კი არ ტოვებდა მერკლის. 16 ივლისს თხემზე ხმა მიწყდა. მერკლი და გაი ლაი აღარ იყვნენ ცოცხლები.

1937 წელს ნანგა პარბატისაკენ გაემგზავრა გერმანელების ახალი ექსპედიცია კ. ვინის მეთაურობით. მოწინავე ჯგუფმა 7 გერმანელი მთამსვლელის და 9 მზიდავის შემადგენლობით მიაღწია № 4 ბანაკს. შემდეგ ეს ჯგუფი აღარავის უნახავს. ამ ადგილას იპოვეს მხოლოდ 3 ზურგჩანთა. ადამიანებიც და საჭურველიც როკხიოტის ფერდობიდან წამოსულმა ზვავმა შთანთქა.

(გაგრძელება იქნება).

DEPORTISTAS DE ARGENTINA
АРГЕНТИНЫ
10

სურათზე: საბჭოთა კავშირისა და არგენტინის კალათბურთელთა საერთაშორისო მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. ხემიანოვისა

სპორტული ქრონიკა

ქუთაისი. მოეწყო შეჯიბრება ფარიკაობაში ქალაქის პირველობაზე. გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა განათლების განყოფილების კოლექტივს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს ნ. სახელაშვილმა, გ. გიორგაძემ, შ. დვალიშვილმა, ჯ. ნიჟარაძემ და გ. ლოსაბერიძემ.

ი. ბუხაიძე

• • •

სიღნაღი. ჩატარდა სიღნაღის რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს თ. ფხოველიშვილმა, გ. ქიტესაშვილმა, ტ. მოსულიშვილმა, თ. გომნიაშვილმა, რ. შავლიაშვილმა. გუნდური პირველობა მოიგო მაზნაანის ზოოტექნიკუმის კოლექტივმა.

ნ. მღებროვა

• • •

აბაშა. ჩატარდა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ აბაშისპირის, განათლებისკარის, კვათანის, ეწერისა და საგაზაოს რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები.

გუნდური პირველობა მეორედ მოიპოვეს აბაშისპირის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კვათანის, მესამეზე — განათლებისკარის მოსწავლე ფიზკულტურელები.

გ. გვაზავა

• • •

წყალტუბო. რაიონულ ბიბლიოთეკაში კომკავშირის წყალტუბოს რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის წევრმა შ. ბიბილეიშვილმა კომკავშირული აქტივისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში“.

შ. ბენძეხაძე

* * *

კაჩრეთი. გაიმართა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს შ. ორველაშვილმა, რ. რამაზიშვილმა, ა. შიშნიაშვილმა, ი. მაზანაშვილმა, რ. გეთიაშვილმა, ზ. გამყრელიძემ, გ. სირაძემ, ვ. მეურმიშვილმა.

ზ. მაზანიშვილი

სამხრეთ ამერიკის პირველობა ფეხბურთში

სანტ-იაგოში დამთავრდა ლათინური ამერიკის ქვეყნების პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ურუგვაის, არგენტინის, ჩილის, პერუს, პარაგვაისა და ეკვადორის გუნდები.

შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ არგენტინელები, რომლებმაც მოიგეს 4 შეხვედრა და ერთი ფრედ დაამთავრეს. არგენტინის გუნდმა მოიპოვა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის წოდება. ჩილის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს მეორე ადგილი (3 მოგება, 1 ფრე და ერთი წაგება), მესამე ადგილი წილად ხვდა პერუს.

შეჯიბრებაში წარუმატებლად გამოვიდა ურუგვაის გუნდი, რომლის შემადგენლობა საკმაოდ შეიცვალა მსოფლიო პირველობის გათამაშების შემდეგ. ურუგვაის ნაკრების რამდენიმე წევრი გადავიდა სხვადასხვა ქვეყნის პროფესიონალურ გუნდებში. ურუგვაელებმა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

გაზეთები ფართო კომენტარებს უკეთებენ მატჩების დღეებში მომხდარ ამბებს. ასე მაგალითად, არგენტინა-ჩილის შეხვედრის დროს (ამ მატჩს უნდა გამოევლინა ჩემპიონი) მაყურებელთა შორის ჩხუბის შედეგად მოკლულ იქნა 5 კაცი.

როკი მარჩიანო — დონ კოკელი

ამას წინათ სან-ფრანცისკოში გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი მსოფლიო პირველობაზე როკი მარჩიანოსა (ამჟამინდელი ჩემპიონი) და ინგლისისა და ბრიტანეთის იმპერიის ჩემპიონს დონ კოკელს შორის.

შეხვედრას 20 ათასზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა. მატჩის წინ მარჩიანო იწონიდა 189 ფუნტს, კოკელი კი — 205 ფუნტს (ინგლისური ფუნტი უდრის 453,6 გრამს).

პირველ ორ რაუნდში უპირატესობა ინგლისელის მხარეს იყო, მაგრამ მომდევნო რაუნდებში მარჩიანომ ინიციატივა მთლიანად იგდო ხელთ.

ძლიერი დარტყმებით მარჩიანომ რამდენჯერმე გადაჰკიდა მოწინააღმდეგე რინგის ბაგირზე, მე-9 რაუნდის 54-ე წამზე მარჩიანომ მოიგო შეხვედრა ნოკაუტით და შეინარჩუნა მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ვაზნის მაგივრად... სინათლე

— ცეცხლის ხაზზე! სპორტსმენთა ჯგუფი საწყის მდგომარეობას აკავებს.

...ცეცხლი!

მაგრამ სროლის ხმა არ ისმის. მხოლოდ ზოგჯერ სინათლე იელვებს და სამიზნეს თავზე დადგმული წითელი ნათურები ინთება.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნათურები ქრება. ისევ სინათლის სხივები.. კვლავ ინთებიან წითელი ნათურები.

გამოდის, რომ სროლა სინათლეებით წარმოებს! მართლაც ასეა.

„სინათლის თოფის“ ლულებში ჩადგმულია პატარა ნათურა, ხოლო კონდახში — ბატარეა. როგორც კი სპორტსმენი სასხლეტს გამოსწევს, ირთვება ნათურის წრედი და ლულიდან სინათლის სხივი გამოდის. თუ თოფი სწორად არის დამიზნებული, სინათლის სხივი სამიზნეს ცენტრში დაყენებულ ფოტოელემენტს მოხვდება და ჩართავს წითელი ნათურის ელექტროწრედს. წითელი ნათურის ანთება სამიზნეზე „ტყვიის“ — სინათლის მოხვედრას ნიშნავს.

ასეთი ფოტოელექტრული ტირები გამოიყენება სროლის შესასწავლად და სავარჯიშოდ. იგი ყველგან შეიძლება მოეწყოს, იაფია და უხიფათო.

ა. ბეჟარაშვილი

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3.89.62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებებს — 3.90.84, მთრავისა და გამომშვებს — 3.38.25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04218